

ჭარხლის, სტაფილოს და ბოლოვის მოვლა- მოყვანის მოკლე ცნობარი



ნიადაგის დამუშავება

თუ გაზაფხულამდე ნიადაგი არ იყო დამუშავებული, იგი უნდა დამუშავდეს რაც შეიძლება ადრე და გულმოდგინედ, მოცილდეს აღმოცენებული სარეველები და მათი ფესვები.

ნიადაგის გაფხვიერება

ნიადაგის გაფხვიერება - დაფარცხვას მიმართავენ აპრილის დასაწყისში, ერთეული სარეველების გამოჩენისთანავე, ამავე დროს ხდება ნიადაგის გაფხვიერება და ბელტების დაშლა.

დათესვა

აღნიშნული კულტურები ითესება აპრილში, 6-8 მწკრივიან რიგებად, ჩათესვის სიღრმე 1,5-2 სმ, მწკრივთაშორის დაცილება 10-15 სმ, ხოლო მწკრივში მცენარეთა შორის 2-3 სმ, (ჭარხლის შემთხვევაში 5-7 სმ).

გამარგვლა-გამეჩხერება

აპრილის ბოლოს, მაისის დასაწყისში მიმართავენ აღმოცენებული სარეველების მოცილებას და ჩახშირებული მცენარეების გამეჩხერებას.

მცენარეთა მორწყვა

აღმოცენებული მცენარეები ირწყვება 5-7 დღეში ერთხელ (კლიმატური პირობებისა და საჭიროების მიხედვით). მთელი ვეგეტაციის მანძილზე მაისიდან-ივლისამდე.

სარეველების მოცილება და ნიადაგის გაფხვიერება

აღმოცენების შემდეგ მაის-ივნისში მიმართავენ მცენარეთა რიგთაშორისების გაფხვიერებას და სარეველათა მოცილებას, საჭიროების მიხედვით.

მცენარეთა დაცვა

მცენარეთა დაცვა მავნებლებისა და დაავადებებისაგან საჭიროა მთელი ვეგეტაციის მანძილზე. მავნებლებისაგან განსაკუთრებით ადვილად ზიანდებიან ახალგაზრდა მცენარეები, ამიტომ მათ აპრილის ბოლოს და მაისში ამუშავებენ ინსექტიციდებით (ჯვაროსანი რწყილების, ბუგრებისა და სხვა მავნებლებისაგან დასაცავად).

მოსავლის აღება

აღნიშნული კულტურების მოსავალი შეიძლება ავიღოთ როგორც ერთიანად, ასევე ნაწილ-ნაწილ, ივლისიდან სექტემბრამდე.